პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977 სამშაბათი 22 ნოემბერი № 272 (17012) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ქალაქი და ზამთარი

ზემოდგომის უკანასკნელი თვეა. მთაში ბევრგან უკვე ჩამოთოვა. მიუხედავად თბილი ამინდებისა, სუსხი ბარს მაინც უახლოვდება და ხულ უფრო მძლავრად იგრძნობა მისი სუნთქვა. ერთი სიტყვით, ზამთარი კარს მოგვადგა და სიცოცხლის დადგომა ათასნაირ საზრუნავს უჩენს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, ქალაქებსა და სოფლებს, თითოეული ადამიანის ოჯახს.

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესება განუხრელად აძლიერებს წოთხოვნილებებს მომსახურების სფეროსადმი. ეს კი თავისთავად მნიშვნელოვნად ზრდის საქალაქო მეურნეობების მრავალფეროვანი და უთუოდ რთული სამსახურების მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის პასუხისმგებლობას. ცხადია, საქალაქო მეურნეობათა სამსახურების გამართულ და ზუსტ მუშაობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ჩვენი ადამიანების ნაყოფიერი შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხელშემწყობი პირობების შექმნა.

ყველაფერი ეს მაღალორგანიზებულ შრომას, საქმისადმი დიდად პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას მოითხოვს. „მაღალი ორგანიზებულობა ყველა დონეზე, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ოქტომბრის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ხელმძღვანელობის ყველა რგოლში, თითოეულ სამუშაო ადგილას XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გბდაწყვეტის აუცილებელი, უცილობელი წანამძღვარია“.

ეს საპროგრამო მითითება საფუძვლად უნდა დაედოს მთელ ჩვენს მუშაობას მეურნეობის ყველა დარგში, ყველა რგოლში, ხუთწლედის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისთვის ბრძოლაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ამახვილებდა ჩვენს ყურადღებას ზამორისათვის ორგანიზებული მზადებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, სამრეწველო ცენტრებსა და სასოფლო საწარმოებში. ამ მნიშვნელოვან საკითხს მიეძღვნა სპეციალური სინსტრუქციო თაობირები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სხდომები, დარგებისა და სამსახურების პასუხისმგებელი მუშაკთა ანგარიშების მოსმენა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებში, ხელმძღვანელ უწყებებში. ამის შედეგად ბევრი რამ კეთდება, კერძოდ, თბილისში, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ტყიბულის, ჭიათურისა და სხვა სამრეწველო ცენტრებში, დასახლებულ მასივებში. საამედო პირობები იქმნება იმისათვის, რომ ზამთარმა ხელი ვერ შეუშალოს სახალხო მეურნეობის დარგების გამართულ მუშაობას. საწარმოთა კოლექტივების საოქტომბრო შეჯიბრების ტემპს, მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებას.

რა თქმა უნდა, ეს ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის პირველი შედეგია. მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის ხარვეზები და ნაკლოვანებანი. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საცხოვრებელი ნაგებობაში. მაგალითად, ნაადრევი სიცივეების დადგომას სოხუმში მოუმზადებელი შეხვდნენ. ამის გამო ბინებისა და საწარმო-დაწესებულებათა თბოსისტემები აცივების დროს ვერ ჩართეს. ამ მხრივ ნაკლოვანებები რუსთავშიც შეიმჩნევა. მართალია, საქალაქო საბჭოს აღმასკომმა წელს რამდენჯერმე იმსჯელა ზამორისათვის მზადების საკითხზე, მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც განახორციელა, მაგრამ ეტყობა ადრე წლების მანძილზე საქალაქო კომუნიკაციების მშენებლობასა და ექსპლოატაციის საქმეში დაშვებული შეცდომების გამოსწორება ერთბაშად ვერ ხერხდება.

ერთი სიტყვით, სიცივეების დადგომამ ზამორისათვის მზადების ხაქმეში არსებული ნაკლოვანებანი უმთავრესად საცხოვრებელი ბინებისა და დაწესებულებების შენობების გაობობაში გამოავლინა. ამ მხრივ მრავალი ხარვეზი თბილისშიც შეიმჩნევა. ამაზე თვალნათლივ მეტყველებს „კომუნისტის“ ხარდაქცეო ფოსტაც. მაგალითად, გლდანის მასივში დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობს თბოსისტემები. ბევრ ბინაში სიცივეა, ხშირია ელექტროენერგიის გამორთვის შემთხვევები. საბურთალოს პირველი კვარტალის ზოგიერთ კორპუსში ხშირად ქრება სინათლე. ამაზე განსაკუთრებით მეოთხე კორპუსის მცხოვრებნი გვატყობინებენ. ვერა და ვერ მოხერხდა გაზის ჩართვა კიკეთის ქუჩაზე, თუმცა აქ უკვე ერთ წელზე მეტია მილები გაიყვანეს, გაზის მიწოდებას კი საშველი არ დაადგა.

ჩვენი ქალაქების ზამთრისათვის მზადყოფნის საქმეში ეს და სხვა ნაკლოვანებები იმაზე მეტყველებენ, რომ საქალაქო მეურნეობები ამ მხრივ ჯერ კიდევ მოუქნელობას იჩენენ. ამიტომ არც ქალაქად, არც სოფლად არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე. ახლავე მთელი ძალით უნდა გავშალოთ მუშაობა, რათა დროზე გამოსწორდეს საქალაქო მეურნეობების ყველა უბნის ხარვეზები.

ხერიოზულ ყურადღებას მოითხოვს სახლების ხარემონტო სამუშაოების დროული დამთავრება, უნდა ვიზრუნოთ ამ სამუშაოთა ხარისხის ამაღლებისათვის, ეს საქმე კი ჩვენში ჯერჯერობით არცთუ იხე კარგად გამოიყურება.

ყინვების დადგომამდე ერთხელ კიდევ უნდა გავაკონტროლოთ მთელი საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობა. ნაკლოვანებათა სახეწრაფოდ გამოსწორებით მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები უნდა შეექმნათ მოსახლეობას. ამასთან სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, კომუნალურ მეურნეობათა ხელმძღვანელებმა ყველაფერი უნდა იღონონ ამ სამუშაოთა წარმატებით შესრულებისათვის. საქმე ეხება ამას, რომ სისტემატურად შემოწმდეს ელექტროქსელი, თბოგაყვანილობა, გამზადებული იყოს საავარიო სამსახური. გამართულად უნდა იმუშაონ ქალაქების საზოგადოებრივმა ამბულატორიებმა. შეიწყნარებელია, რომ თვით თბილისშიც პეკინის ქუჩაზე ამბანოს რემონტი ჭიანურდება, რაც აქაური მოსახლეობის მომსახურებაში დიდ უხერხულობას ქმნის.

გასული წლების მწარე გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ყინვა და თოვლი ართულებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობას. ავტობუსის, ტროლეიბუსის, ტრამვაის მოძრაობის გრაფიკის დაცვას ბევრად განსაზღვრავს ის, თუ როგორ უვლიან ქუჩებს. აქ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ კეთილმოწყობის სამსახურების კოლექტივებს. საკმო როდესმენდი უნდა გვქონდეს ქვიშა, მეცნიერთა მიერ რეკომენდებული ქიმიკატები, რათა გაგვადვილდეს ქუჩებში თოვლისა და მოყინვის წინააღმდეგ ბრძოლა.

ზამორისათვის საქალაქო მეურნეობის ყველა სამსახურის გამართულად მომზადება მით უფრო წარმატებით მოგვარდება, რაც უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ ამ საქმეს პარტიული ორგანიზაციები. კომუნისტები მოვალენი არიან უფრო ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება სამინეო-კომუნალურ და სატრანსპორტო კოლექტივებში, წარმართონ ეგი მოსახლეობისათვის მაქსიმალურად კარგი პირობების შესაქმნელად. პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად დანერგავენ შრომის მოწონიერ მეთოდებს, დარგის თითოეულ მუშაკს გაუძლიერებენ პასუხისმგებლობის გრძნობას მინდობილი საქმისათვის, მიაღწევენ ზამთრის რთულ პირობებში მოსახლეობის მომსახურების მთელი სისტემის შემდგომ სრულყოფას.

საქალაქო მეურნეობათა კოლექტივების თითოეული წევრის, კომუნისტისა და კომკავშირელის პატრიოტული მოვალეობაა მთელი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარონ ზამთრისათვის მზადებას, ოქტომბრის საიუბილეო დღეებში დაწყებული საქმეების სახელოვნად დაგვირგვინებას, სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართო გაჩაღებას, ნაკისრი ვალდებულებების უთუო შესრულებას, ხუთწლედის მეორე წლის ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტას.

საიუბილეო წელს — დამკვრელური ფინიშში!

ლიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავი მნიშვნელოვანი შრომითი მოღწევებით აღნიშნეს დედაქალაქის ტრიოტაეის საცვლების საწარმოო გაერთიანების მშრომელებმა.

ჯერ კიდევ საიუბილეო წლის დასაწყისში მრავალმა მათგანმა გადაწყვიტა მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება ვადამდე და გადაჭარბებით შეესრულებინა. თავდადებული შრომით, მანქანა-დანადგარებისა და სამუშაო დროის რაციონალური გამოყენებით მეტრიოტაეელებმა სიტყვა საქმედ აქციეს.

მათ შორის, ვინც ვადამდე უპატაკა სამშობლოს პირველი ორი წლის დავალების შესრულება, არიან № 1 სახვევი საამქროს მოწინავე მხვეველები ე. გოგიჩაიევა, ლ. ტივაძე და ც. პაქსაშვილი.

მათ შორის, ვინც ვადამდე უპატაკა სამშობლოს პირველი ორი წლის დავალების შესრულება, არიან № 1 სახვევი საამქროს მოწინავე მხვეველები ე. გოგიჩაიევა, ლ. ტივაძე და ც. პაქსაშვილი.

ხუთწლედი — ვადამდე!

გარდამავალი დროშა მშენებლებს

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო წლის გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების განაღდებაში თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 8 — ტრესტის „ჰიათურმაგანმშენის“ ბინათმშენებლობის სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ჯ. გოგელია) კოლექტივმა.

მშენებლებმა მესამე კვარტალის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს, ბრძოლის ნაყოფიერებამ 8 პროცენტით გაზარდეს. გეგმა ვადაჭარბებით ჩაბარებულია 314 კვადრატული მეტრი საბინაო ფართობი, მიღებულია 31.000 მანეთი მოგება.

მიღწეული წარმატებებისათვის სამმართველოს კოლექტივს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენმასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭა.

მომავალი წლის ანგარიშში

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ძიგვის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე გადაჭარბებით გაანაღდა საიუბილეო წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და პირველი, ნოემბრისათვის შეასრულა მეათე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალება.

ენერგეტიკოსთა წარმატება

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ კოლექტივმა ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მიიღო მოსკოვიდან.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მოღწეულობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებით, მიმდინარე საიუბილეო წლის მესამე კვარტალში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის, ნაკისრი გაზრდილი ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის პირველი ადგილი, გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიენიჭათ „საქმთავარენერგოს“ შემდეგ საწარმოებს: **ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესს — კასკადი № 1, თბილისის ელექტროქსელს.**

საბჭოთა მილიციის 60 წლისთავის აღსანიშნავად

21 ნოემბერს საღამოს თბილისის ზაჭარია ფილარმონიის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართა პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, ადმინისტრაციული ორგანოების და ქალაქ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლების სახეიმო კრება, რომელიც საბჭოთა მილიციის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა.

სახეიმო კრების პრეზიდიუმში იყვნენ პ. გელაშვილი, ი. ინაური, გ. კოლბინი, პ. მელნიკოვი, თ. მენთეშაშვილი, ვ. ლორაძე, ე. შევარდნაძე, ს. ხაბეიშვილი, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელი მუშაკები.

სახეიმო კრება მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

სახეიმო კრების საპატიო პრეზიდიუმში დიდი ადმოვლოთ აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება საბჭოთა მილიციის 60 წლისთავის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა, შინაგანი სამსახურის გენერალ-ლეიტენანტმა ა. კეთილაძემ.

მილიციის მუშაკებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს სოციალისტური შრომის გმირმა, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპეთა ბრიგადიმა გ. ჟურტანიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პარტკომის მდივანმა რ. ჩალაურმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ნ. თათარაშვილმა, რუსეთის ფედერაციის პროკურორის მოადგილემ ა. ბარაბანოვმა, ფიტმა რ. მარგიანმა.

სახეიმო კრების მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის სპეციალური სამუალო სკოლის კურსანტები.

დამსწრეთა ტაშის გრიალში მიიღეს მისალმების ტექსტი, რომელიც კრების მონაწილეებმა გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

სახეიმო კრების შემდეგ გაიმართა საღამესასწაული კონცერტი.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პლენუმი

დმანისი. (საკ. კორ.). გაიმართა საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველი მდივნისა და პიროსის წევრის მოვალეობისაგან გაათავისუფლა **ჯ. ი. ჩხაიძე.**

საქართველოს კომპარტიის დმანისის რაიკომის პირველ მდივნად და პიროსის წევრად პლენუმმა აირჩია **გ. ა. ყულჯანიშვილი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ე. ა. შევარდნაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე **ხ. ე. ხაბეიშვილი.**

20-21 ნოემბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

[illegible] „პრავდის“ [illegible] ნომრიდან („თანამოსაუბრენი“), ყოველდღიურად იზრდება იმ მოწინავე კოლექტივების რიგები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. ეს შეჯიბრება მილიონობით მონაწილის დაუცხრომელი შრომის შედეგია. დე ეკლავაც განუხრელად განვითარდეს და განმტკიცდეს ამხანაგური თანამოსაქმეობა, საბჭოთა ადამიანების შრომითი ძმობა — კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა სიმაღლეთა საუნიდარი!

რუბრიკა — **„პარტიული ცხოვრება: ალბომდან — კომპლექსური მიდგომა“** წარმოდგენილია ლენინგრადის **ა. ა. ჟდანოვის** სახელობის გემთსაშენებელი ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივნის **ს. ხალეოპოვის** წერილით — **„სიიმედო ინსტრუმენტი“.**

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ მოსკოვში გაიხსნა გამოფენა **„ლენინური კურსით“.** სადაც ორი ათასამდე ნაწარმოება გამოფენილი. ამის გამო „პრავდა“ აქვეყნებს **ო. ტიმოფეევის** წერილს — **„ეპოქის პორტრეტი“.** აქვე მესამე გვერდზე წაიკითხავთ „აკადემიკოს **ბ. სადოვსკის** ინტერვიუს — „მიწისძვრის საფთავეებთან“. გაზეთის მე-4 და მე-5 გვერდები კვლავ საერთაშორისო ცხოვრებას ეთმობა. კვირისავე ნომერში ნახავთ **ი. შატუნოვსკის** ფელეტონს — „ეოლოს ბუჭქი გზის პირას“.

ახლა, აცივებისთანავე, ნათქვამია გუშინდელ მოწინავეში („დავზოგოთ სათბობი და ენერგია“), დროა თითოეულ კოლექტივში გავანალიზოთ, თუ როგორ სრულდება ენერგორესურსების დაზოგვის გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. პარტიული კომიტეტების პირდაპირი მოვალეობაა აქტიურად დაუჭირონ მხარი ამ შეჯიბრების მოწინავეებს, გაავრცელონ მათი გამოცდილება, წინ წამოსწიონ ჩამორჩენილები. მეტი უნდა მოვთხოვოთ იმ სამსახურების ხელმძღვანელებს, რომლებიც სათბობის, სითბოს, ელექტროენერგიის ხარჯვას განაგებენ. დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა დაუცხრომლად ჩავუნერგოთ ადამიანებს წარმოების ბატონ-პატრონის გრძნობა, სახალხო დოვლათისადმი უაირათობანი დამოკიდებულება. მფლანგველობისადმი შეურიგებლობა.

ენერგორესურსების ეფექტიანი გამოყენება ხელს შეუწყობს მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებას, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას.

იმავე ნომერში მკითხველი ნახავს რუბრიკებს — „წინამიმავალთა კეთილი საქმეები“, „პარტიული ცხოვრება: წინა ხაზზე“, „კრიტიკისა შემდეგ“, მეცნიერება აფართოებს ჰორიზონტებს. მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებულია **ო. აბრამოვის** ლიტერატურული მიმოხილვა — **„საკუთარი ტრაექტორია“** („როცა ეურნალებს ეკითხ[illegible] ხელობთ“).

ПРАВДА

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

СССР

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

უკეთ დავიცვათ ტყეები და უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ტყის რესურსები

როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სატყეო-სამეურნეო საწარმოებმა ამ ბოლო დროს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ტყის დაცვის, გამოყენებისა და აღდგენის გაუმჯობესებაში. გაიზარდა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების მოცულობა. რამდენადმე გადიდდა სატყეო მეურნეობის ტექნიკური აღჭურვილობა.

მოწონებას იმსახურებს ამ სისტემის საწარმოთა ინიციატივა დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად მეშრომალური ტყეების შექმნისა და 60 მილიონი ძირი ხის დარგვის გზით ტყის სამდიდრეთა გამრავლებისათვის.

ამასთან, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ ამ კომიტეტისა და მისი საქვეუწყებო ორგანიზაციების მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

არის ტყის კულტურების გაშენების აგროტექნიკის დარღვევის შემთხვევები. საკმარისი არ არის მცირეფასიანი და ნაკლებპროდუქტიული ტყეების რეკონსტრუქციის სამუშაოთა მოცულობა. გაუმჯობესებას მოითხოვს მაენებლობისა და ავადმყოფობისაგან, ხანძრებისა და უკანონო ჩეხვისაგან ტყეების დაცვისა და მოვლის საქმე. სახელმწიფო დაცვის მუშაკები საჭირო სიმკაცრეს არ იჩენენ ტყით სარგებლობის წესების დამრღვევთა გამოვლენაში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოები ეფექტიან ღონისძიებებს არ ახორციელებენ მათ წინააღმდეგ.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების გადაცემამ დადებითი გავლენა მოახდინა მათ მუშაობაზე, მაგრამ იქ განხორციელებულ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დონე ჯერჯერობით არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

ჯერ კიდევ ირღვევა ტყის ჭრის წესები. საკმარისი არ არის ღონისძიებანი, რომლებიც ვრცელდება ტყის წარსულში გამოყენებული სამრეწველო შერჩევითი ჭრის შედეგებისა და მოყალ ვადით ტყით სარგებლობის პირობების ლიმოფხვრისათვის, რომლებიც იწვევენ ტყეების მდგომარეობის გაუარესებას და ტყით სარგებლობის მოცულობის მკვეთრ შემცირებას. ტყის ექსპლოატაციის ტექნოლოგია და ტექნიკა, რომლებსაც ახლა იყენებენ, ზიანს აყენებს მთის ტყეების მდგომარეობას. ჭრის წესების დარღვევას ხელს უწყობს აგრეთვე სამასალე მიჭრნის გამოსაყენებლობის არასწორი დაგეგმა, განსაკუთრებით წიფლნარში.

როგორც პრაქტიკამ ცხადყო, მთელი ხე-ტყის დამზადების თავმოყრა სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში ადმოჩნდა სწორი და დროული ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს სატყეო მეურნეობის გაძლიერებას გაუმჯობესებას. ტყის რესურსების უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებას. ამასთან ჯერ კიდევ არ გადაწყვეტილა კომპლექსურ მეურნეობათა შექმნასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვს ტყის გზების მშენებლობის ორგანიზაცია და ხარისხი; საკმარისი არ არის არსებული საგზაო ქსელი და ახალი გზების მშენებლობისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური და ფულადი სახსრები. იცდადი იყენებენ ტყის არასამრეწველ პროდუქციის რესურსებს, რომლებიც სატყეო მეურნეობის შემოსავლიანობის მნიშვნელოვან რეზერვს შეადგენს.

მთის სატყეო მეურნეობის გაძლოლას ახასიათებს შრომატევადი პროცესების მექანიზაციის უარესად დაბალი დონე. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ახალი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვა.

თბილისის სატყეო ინსტიტუტი და თბილისის ხე-ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დამაკმაყოფილებლად არ ეწევიან სატყეო-სამეურნეო და ტყის აღსადგენ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის, მთის პირობებში ხე-ტყის დამზადების, მოთრევისა და ტრანსპორტირების პრობლემების დამუშავებას, ხელს არ უწყობენ პრაქტიკაში მეცნიერული ნაშრომების დანერგვას, რაც ზარმოებისაგან მათი მოწყვეტის შედეგია. მათ მხედველობიდან გამორჩათ აგრეთვე სატყეო ეკონომიკის, სატყეო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, განხორციელებულ სამეურნეო ღონისძიებათა ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები.

დღემდე არ არის რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარებისა და ტყის ნედლეულის რესურსების ათვისების დაბალცებული გენერალური სქემა.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს სისტემაში უხეში შეცდომებია დაშვებული სამეურნეო ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებში, კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. მთელ რიგ შემთხვევებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიშნავდნენ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ საქმიანი და პოლიტიკური თვისებები. ირღვეოდა კოლეგიურობის პრინციპი კადრებისა და სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში. იყო წამატების, თვალის ახვევის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტები. სერიოზული ნაკლოვანებები ინ ატ სატყეო-ტექნიკისა და ოროლო-სარეკვიზიო სამსახურის მუშაობაში. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა ეკონომიკურ მუშაობას. თუმცა ამ ბოლო დროს მთელი რიგი ღონისძიებანი განხორციელდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და კადრების შერჩევისათვის, მაგრამ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ საკმარისი არ არის.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის პარტიული ორგანიზაცია სუსტად ებრძოდა უდისციპლინობის გამოვლინებებს, არ ზრუნავდა ამისათვის, რომ მუშაობისათვის ჩაენერგა დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო მეურნეობის სპეციალისტთა კადრების მომზადების დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება სატყეო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მოთხოვნებს.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები საკმარისად არ სწავლობენ სატყეო მეურნეობის საკითხებს, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ტყის დაცვას, ღიმად არ წვდებიან სატყეო-სამეურნეო წარმოების სპეციფიკას, შესაბამის დახმარებას არ უწევენ სატყეო-სამეურნეო საწარმოებს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში.

გაითვალისწინეს რა ყოველივე ეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს ტყის მდგომარეობისა და დაცვის, სატყეო მეურნეობის გაძლოლის შემდგომ გაუმჯობესებას და რესპუბლიკის ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფას.

ამ დადგენილებაში მოწონებულია საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითადი სამეურნეო ღონისძიებათა გეგმა, რაც უზრუნველყოფს მეათე ხუთწლედის საეგმო დავალებათა დადამდე შესრულებას.

დაასაბუთა აღნიშნულ დარგში საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი, განსაზღვრულია ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისა და მისი პარტიული ორგანიზაციის, რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სხვა უწყებების, თბილისის, ყინ ინსტიტუტის, თბილისის ტყის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სტატუტის, რესპუბლიკის ტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისა ინფორმაციის, სალებათა კონკრეტული ამოცანა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბ[illegible] გამოთქვეს მტკიცე რწმენა, [illegible] XXV ყრილობისა და [illegible] საქართველოს კომპარტიის [illegible] ყრილობის გადაწყვეტილებ[illegible] შთაგონებული რესპუბლიკის ტყეთ მეურნეობის მუშაკებ[illegible] ბლებიც ხელმძღვანელობენ [illegible] დაცვის შემდგომი გაუმჯ[illegible] ბისა და ტყის რესურსების [illegible] ონალური გამოყენების [illegible] ძიებათა შესახებ“ სსრ კავ[illegible] უმაღლესი საბჭოს მეექვსე [illegible] დადგენილებით და სსრ კავ[illegible] სა და მოკავშირე რესპუბლ[illegible] ტყის კანონმდებლობის [illegible] ლებით, რომლებშიც მკაფ[illegible] არის ასახული კომუნისტურ[illegible] რტიისა და საბჭოთა სახელმწ[illegible] ზრუნვა გარემოს გაუმჯობ[illegible] ტყის სიმდიდრეთა დაცვისა [illegible] გამრავლებისათვის, წარმატ[illegible] შესასრულებენ მათ წინაშე [illegible] ხულ ამოცანებს, უფრო ფართ[illegible] გაშლიან სოციალისტურ შ[illegible] რებს მუშაობის ხარისხისა[illegible] სატყეო-სამეურნეო წარმ[illegible] ეფექტიანობის ამაღლებისა[illegible] ყველაფერს. იღონებენ, რათ[illegible] ტყეო მეურნეობა რესპუბ[illegible] სახალხო მეურნეობის სანი[illegible] დარგად გადაიქცეოს.

(საქინფორმი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲙᲐᲠᲢᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ!

გაზეთი „კომუნისტი" 1925 წლის 19 დეკემბრის ნომერში წერდა „...საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტი ამჟამად აწარმოებს დიდ მუშაობას მარილისში გრეხილი ავეჯის ქარხნის დასამთავრებლად. ქარხანა სასეგებით მოწყობილი იქნება მომავალი წლის ოქტომბერში. ქარხანაში იმუშავებს დაახლოებით 500-600 კაცი". ამ წერილის გამოქვეყნებიდან 9 თვის შემდეგ გაზეთმა მკითხველებს სიხარულით აუწყა, რომ „რესპუბლიკის სოციალისტური სახალხო მეურნეობის პირველ, ანალი საავეჯო დაბრიკა მწყობრში ჩადგა. მას შემდეგ ხუთ ათეულ წელზე მეტი გავიდა და რაოდენ სასიხარულოა, რომ ამ ფაბრიკის სახელოვანი კოლექტივი ცალკეული ახალგაზრდული ენერგიით ცხოვრობს და ოდენ წლის. ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა მეავეჯე „კომუნისტების საანგარიშო-საარჩევნო კრებამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა.

კრების მონაწილეებმა თავიანთი ნაშრომიდან და მომავლის გეგმებიდან ბევრი ინტერესი შეაფასეს, თუ რამდენად უპასუხებს მათი საქმიანობა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თითბაზე 1976 წლის ოქტომბერში. ... ცენტრალური კომიტეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენებიდან ეს ნაწილი გამოიყენეს, სადაც ნათქვამია, რომ „პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის სულ უფრო დიფერენციალური ნაწილად ხდება მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლი და შემოწმება. აღსანიშნავია, ... ძლიერდება ბრძოლა შესრულების კონტროლის საქმეში ლიბერალიზმის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ მიღებული გადაწყვეტილებანი აუცილებლად მიგვაყვანდეს ლოგიკურ ბოლომდე. ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებმაც გადაწყვეტი გავლენა მოახდინეს რესპუბლიკაში პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ორგანიზაციის თითქმის ... ეფექტიანობა და ... ... 1976 წლის ... ...

ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲨᲘ

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის მიწვევით 20 ნოემბერს მოსკოვიდან ნიუ-იორკში სანასუხო ვიზიტად გაემგზავრა რესპუბლიკებისა და ოლქების საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი გუშაკთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ს. სოლომენცევი (დელეგაციის მეთაური), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარიძე, ერასოეთიდან სამხრეთი ალმასკომის თავმჯდომარე გ. პ. რაზუმოვსკი, ერასნოიარსკის სამხრეთ ალმასკომის თავმჯდომარე ნ. ო. ტატარინუკი, ლენინგრადის საქალაქო ალმასკომის თავმჯდომარე ლ. ნ. ზაიკოვი, ვორონეჟოგვრადის სალოქო ალმასკომის თავმჯდომარე ვ. ა. ლისიკინი, ტაშკენტის საოქო ალმასკომის თავმჯდომარე პ. ი. იუსუპოვი.

ᲛᲔᲠᲛᲣᲚᲘᲡᲐᲜᲐᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ დელეგაცია გაიცილეს სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზუროვმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, სკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილეებმა ვ. ვ. ზაგლადინმა და ა. ს. ჩერნიაევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. გ. კოვალიოვმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ო. ვასილიევმა, ვ. ი. ეროტნიკოვმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა.

გამცილებელთა შორის იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ჟ. ტუნი.

* * *

ᲓᲦᲔᲚᲒᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲐᲕᲔ ᲓᲦᲔ ჩავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნიუ-იორკის ჟ. კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მას დაჰყოლნენ ამერიკის შეერთებული შტატების გუბერნატორთა ეროვნული ასოციაციის აღმასკომის წევრი, ვირმონტის შტატის გუბერნატორი რ. სნელინგი და სხვა ოფიციალური პირნი.

ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲡ დახვდნენ ამერიკის სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ფ. დობრინინი, სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაეროთაშორისო ორგანოებში ო. ა. ტროიანოვსკი.

მ. ს. სოლომენცევმა მოკლე განცხადებაში გამოთქვა იმედი, რომ დელეგაციის ვიზიტი, შეხვედრები და საუბარი ამერიკის პოლიტიკურ მოღვაწეებთან, საქმიანი და საზოგადოებრივი წრეების წარმომადგენლებთან წვლილი იქნება მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საქმეში და ხელს შეუწყობს საბჭოთა და ამერიკელი ხალხების უკეთეს ურთიერთგაგებას. (საკრესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 21 ნოემბერი. (საკრესი). ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს ბრძანებულებით სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ა. სუსლოვი დაჯილდოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი ორდენით — გიორგი დიმიტროვის ორდენით დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებით და ბულგარეთის კომპარტიის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საბრძოლო კავშირისა და თანამშრომლობის, ორი ქვეყნისა და ხალხის ძმური მეგობრობისა და დაახლოების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის, სსრ კავშირში სოციალისტური და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის ბრძოლაში, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში წვლილისათვის.

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. 21 ნოემბერი. (საკრესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა კარლ მარქსის ორდენით დააჯილდოვა სკკ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი.

მ. ა. სუსლოვს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეს უმაღლესი ჯილდო მიენიჭა სსრ კავშირში სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის საქმეში უდიდესი ღვაწლისათვის, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში დამსახურებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას შორის ძმური ურთიერთობის განვითარება-განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, აგრეთვე დაბადების 75 წლთან დაკავშირებით.

ᲐᲠᲐᲒᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲐᲦᲣᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲖᲛᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲓᲐᲗᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ პრეზიდენტის სადაღეს გადაწყვეტილებამ ვოიაჟი მოაწყოს ისრაელში მწვავე კრიტიკა და პროტესტები გამოიწვია არაბულ ქვეყნებში. სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სადათის გამგზავრება ისრაელში საფრთხეს უქმნის არაბთა საქმეს და ამ ვიზიტის შედეგებს შორის არის გამიზნული. სადათთან საუბრის დროს, თქვა ჰ. ასადმა, დავიმტკიცე ჩემი პოზიცია. რომ ასეთი გამგზავრება არ შეესაბამება არც არაბი ერის, არც სირიის, არც ეგვიპტის, არც სხვა არაბული ქვეყნების ინტერესებს.

„ის, რასაც ახლა სადათი სჩადის, დანაშაულია მთელი არაბი ერის წინაშე“ — ნათქვამია ლიბიის სიერთო სახალხო კონგრესის სპეციალურ განცხადებაში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ისრაელში ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტის გამგზავრების შემოხვევაში ლიბია უარს იტყვის ანონიერად ცნოს ეგვიპტის ახლანდელი მთავრობა, მოითხოვს ეგვიპტის გარიცხვას არაბული ქვეყნების რიგებიდან და ლიბიის არაბთა რესპუბლიკის შტაბ-ბინის კაიროდან არაბეთის სხვა ქვეყნის დედაქალაქში გადატანას ეგვიპტის ხელმძღვანელის მიერ ლიგის წესდების შეუწყნარებელი დარღვევის გამო.

